
იმღერე, მუზავ, გევედრები, კიდეც იმღერე
ჩემის ბედის და უბედობის საგალობელი,
ამ წუთისოფლად ერთი მყავხარ შენ
მწყალობელი. -შენ ჩემს სევდაში დაიბადე და
დაიფერე.

ბედნიერება, ნეტარება ჩვენ არ ვიცოდით,
მხოლოდ გვეჭირა სინათლისკენ გზა
სისწორისა,
გულს გვიმხნეებდა ხმა-მედგარი ჩანგი
ბრძოლისა
და მხნე ლექსებით, მამაც რწმენით მარად
ვიბრძოდით!

დღეს-კი დავსუსტდი, ბედთან ბრძოლა არ
შემიძლია,
თითქოს მეტია ამ ცრუ სოფლად რაც
გამიძლია,
ისე ვარ ახლა უნუგეშო, სასომიხდილი;

ვატყობ: ილევა გულში სევდა, სულში
ნაღველი, იმღერე რამე!.. აღსასრულის
გამომსახველი.
ჟანგიან ცელით მიკაკუნებს კარზე სიკვდილი!